GASW მაცნე N1

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
ოქტომბერი, 2017

თავმჯდომარის მიმართვა

ძვირფასო წევრებო, მოგესალმებით!

გადავწყვიტე ყველა შესაძლო გზით გავააქტიურო ჩვენი კომუნიკაცია. ეს მნიშვნელოვანია მრავალი მიზეზის გამო, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ გვჭირდება პროფესიული განვითარებისათვის ერთად ვიღვაწოთ. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, ჩვენ ვიცოდეთ რა ხდება ყოველ რეგიონში, ქალაქში, სოფელში, სადაც კი ჩვენი კოლეგები მუშაობენ, სადაც სოციალური პრობლემებია; მეორე მხრივ კი, თქვენ უნდა იცოდეთ, თუ რას საქმიანობს ასოციაცია, როგორც პროფესიული განვითარებისათვის მებრძოლი ორგანიზაცია, რა მიღწევები ან გამოწვევებია პროფესიაში, ადგილზე თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ამ მიზნის მისაღწევად, გადავწყვიტეთ კვარტალურად მოვამზადოთ საინფორმაციო ფურცელი, რომელსაც ტრადიციულად დავარქმევთ GASW-მაცნეს. GASW-მაცნე გააშუქებს მიმდინარე საქმიანობას, როგორც პროგრამულს, ასევე, სამოქალაქო აქტივიზმისა და პროფესიული განვითარებისაკენ მიმართულს. როგორც იცით, გვყავს წევრებთან ურთიერთობის მენეჯერი - ქეთევან კალანდაძე, ჩვენი კოლეგა, რომელმაც თქვენთან უკვე დაიწყო კომუნიკაცია და ჩვენი გამოკითხვის კითხვარიც მან გამოგიგზავნათ. კითხვართან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ჩვენ ის უკვე დავამუშავეთ, მონაცემები დავაჯამეთ და ელ-ფოსტით მოგწერთ პასუხებსა და მოსაზრებებს კითხვარში გამოკვეთილ ყველა აქტუალურ საკითხზე.

გარდა GASW-მაცნისა, ჩვენი კომუნიკაცია იქნება პირისპირ ყოველ კვარტალში ერთხელ მაინც. როდესაც გსტუმრობდით რეგიონებში, თქვენ ამის სურვილი და საჭიროებაც გამოკვეთეთ. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ქვეყანა გვაქვს, მაინც დიდი დრო მიაქვს რეგიონებში სტუმრობას, ამიტომ მხოლოდ ჩემს ვიზიტებზე რომ არ იყოს დამოკიდებული თქვენთან კომუნიკაცია, აწი თბილისშიც მოვაწყობთ ხოლმე შეხვედრებს. ყოველი რეგიონი დაასახლებს ასოციაციის წევრთაგან რომელი სოციალური მუშაკი მიიღებს ხოლმე ამ შეხვედრებში მონაწილეობას და ის ადამიანი გახდება ასოციაციის რეგიონული წარმომადგენელი. შეხვედრების შემდგომ რეგიონალური წარმომადგენელი ადგილობრივ კოლეგებში გაავრცელებს მიღებულ ინფორმაციას. მისი მიმოსვლის ხარჯებს საწევროებიდან შემოსული თანხიდან უზრუნველვყოფთ, საჭიროების შემთხვევაში. თუმცა არარეგულარული კონტრიბუციების გამო ეს თანხა ძალიან მწირია. როგორც იცით, ასოციაციის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საგრანტო ან მომსახურების კონტრაქტების საფუძველზე. პროექტების ფარგლებში ზოგჯერ წევრებთან კომუნიკაციის რესურსი არ გვაქვს, ამიტომ ამ თანხებს ამგვარი საჭიროებებისათვის ვიყენებთ, და წლის ბოლოს თქვენ ამ ანგარიშს გაწოდებთ, რომ ზუსტად იცოდეთ თქვენ მიერ გაღებული ყოველი თეთრის დანიშნულება.

მეგობრებო, შეგახსენებთ, რომ ასოციაცია არის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია; ის არ არის შრომით ურთიერთობებზე ან ატრიბუტებზე გარიგებებში მონაწილე ორგანიზაცია, ამისათვის ყოველი უწყების სოციალურ მუშაკს შეუძლია გაერთიანდეს საქართველოს პროფესიული კავშირების ასოციაციაში, სურვილის შემთხვევაში. ჩვენი ასოციაცია არ არის ამ ორგანიზაციის წევრი და ამიტომ ამაზე კონსულტაციას ვერ გავწევთ და მხოლოდ ამ ინფორმაციით შემოვიფარგლებით.

ასე რომ, მნიშვნელოვანია ერთად ყოფნა, ინფორმირებულობა პროფესიულ მიღწევებსა და გამოწვევებზე საქართველოშიც და მსოფლიოშიც, პროფესიის განვითარებაზე ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება და ერთად ბრძოლა პროფესიული წარმატებისათვის.

ამ საქმეში თქვენ იაქტიური ჩართულობის და მხარდაჭერის იმედი მაქვს!

ნინო შატბერაშვილი
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარე

შეგახსენებთ, რა პრივილეგიები აქვს წევრს არაწევრთან შედარებით:

1. პროფესიული საკითხების შესახებ იღებს ინფორმაციას სისტემატურად, რადგან ასოციაცია არის ჩვენს სფეროში მნიშვნელოვანი აქტორი საქართველოში და არის საერთაშორისო პროფესიული ერთობების წევრი.
2. სარგებლობს ასოციაციის ყველა რესურსით უსასყიდლოდ (პუბლიკაციები, კონსულტაციები პროფესიულ საკითხებზე, ტრენინგები და ა.შ.).
3. აქვს სარეკომენდაციო მხარდაჭერა დასაქმებისას.
4. თანაბარკონკურენტულ გარემოში სარგებლობს უპირატესობით ასოციაციაში დასაქმებისას.
5. აქვს პროფესიულ თემთან ურთიერთობის მეტი შანსი, ვიდრე ინდივიდუალური ძალისხმევის შემთხვევაში.

პროფესიის ხსნის ჯგუფი

პროფესიის წინაშე არსებულ პრობლემებზე ეფექტიანად მუშაობის მიზნით, 2016 წლის აგვისტოში, ასოციაციის ინიციატივით შეიქმნა „სოციალური მუშაობის ხსნის“ სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში შედის ყველა ის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ქირაობს სოციალურ მუშაკებს და ისინიც, რომლებიც სოციალური უფლებების დაცვაზე არიან ორიენტირებული.

ჯგუფის მოქმედების გეგმა შემდგომი იყო:
1. არსებული სიტუაციის ანალიზი
2. სამოქმედო გეგმის შემუშავება
3. საოქმედო გეგმის განხორციელება

ჯგუფის ფარგლებში მომზადდა:
1. პროფესიის რეგულირების კონცეფცია
2. ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიულ მომსახურებებში სამთავრობო სოციალური მუშაკის როლისა და ფუნქციის ანალიზი
3. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობების შეფასების დოკუმენტი.

ჯგუფი იკრიბებოდა 2017 წლის ივნისამდე, სანამ საბოლოო პროდუქტები მომზადდა და სამოქმედო გეგმა განისაზღვრა, 2017 წლის ივნისიდან კი ქმედებაზე გადავიდა. ივნისში მოეწყო შეხვედრა სოციალური მუშაკების დამქირავებელ ყველა სამთავრობო უწყებასთან. შეხვედრაზე გაშუქდა ჯგუფის ხედვა, მონაწილეებს გაეცნოთ მომზადებული ანგარიშები. შემდგომი გაფართოებული შეხვედრა 11 ოქტომბერს გაიმართა.

პეტიცია

“მოვითხოვთ, სოციალურ მუშაკებს მიეცეთ პროფესიული ვალდებულებების აღსრულების საშუალება”

პეტიცია შემუშავდა GASW-ის მიერ სოციალური მუშაკების აქტიური ჩართულობით და გამოქვეყნდა 2017 წლის 28 სექტემბერს. პეტიციას ხელი მოაწერა 600 მდე სოციალურმა მუშაკმა და პროფესიის მხარდამჭერდმა ადამიანმა, ასევე 40-ზე მეტმა ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ.

პეტიციის მიზანია სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკების სამუშაო პირობების გაუმჯობესება და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

პეტიციის ფარგლებში ჩართული მხარეები მოითხოვენ:
- შეხვედრას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან, ბატონ დავით სერგეენკოსთან,
- სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებას.

პეტიციაში აღნიშნული საკითხების ადვოკატობას დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განახორციელებს GASW.
პეტიციის ტექსტი იხილეთ ამ ბმულზე:
https://manifest.ge/main/item/1744/

პროექტი: “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის ხელშეწყობა აჭარის რეგიონში”

პროექტი 2017 წელს “საერთაშორისო განათლების ცენტრისა” და “ღია საზოგადოება ვაშინგტონის” მხარდაჭერით განხორციელდა. იგი მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ორიენტირებული პოლიტიკის ფორმირებას და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა გაძლიერებას, ადგილობრივ თვითმმართველობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგის ფასილიტაციის საშუალებით.

პროექტის ფარგლებში გაიმართა რამდენიმე საინტერესო სამუშაო შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შშმ პირთა ინკლუზიის ეფექტიანი პოლიტიკის დაგეგმვის გზების გაცნობის მიზნით. გადამზადნენ ადგილობრივი სოციალური მუშაკები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები შემდგომ საკითხებში: სოციალურ ადვოკატობა,შშმპ-თან მუშაობის სპეციფიკა,სოციალური მუშაკების გაძლიერება სოციალური ცვლილებებისთვის. ჩატარდა სემინარი მედიის წარმომადგენელთათვის,შშმპ საკითხების გაშუქების მისაღებ გზებთან დაკავშირებით. მედიის წარმომადგენლები გაეცნენ მხარდამჭერი სოციალური მუშაკის როლს შშმ პირთა საკითხებზე მუშაობისას.

პროექტის პარტნიორია ორგანიზაცია თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკა და ადვოკატობა. პროექტის განხორციელებაში ჩართულები იყვნენ ასოციაციის ადგილობრივი წევრებიც.

პროექტი: “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება”

პროექტი “ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტოს” მხარდაჭერით ხორციელდებოდა 2016-2017 წლებში. მან მიზნად დაისახა შშმ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროში, მათთვის თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით სარგებლობის ხელშეწყობის გზით.

პროექტის გუნდი შეეცადა თბილისის ერთ-ერთი პოლიკლინიკის შშმ ბენეფიციარების ხელშეწყობას არსებული ბარიერების გადალახვაში,მომსახურებებზე მათი ხელმისაწვდომობის გაზრდას ინფორმირებისა და ცხელი ხაზით მრავალდარგოვანი ჯგუფის მიერ გაწეული ინდივიდუალური კონსულტაციების გზით. გუნდის მიზანი იყო მუნიციპალიტეტების და პირველადი ჯანდაცვის წარმომადგენლების ჩართვა შშმ პირების სამედიცინო და სოციალური დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების პროცესში.

პროექტის ფარგლებში სოციალური მუშაკების სამაგისტრო კურსისთვის, ზურაბ ტატანაშვილისა და მაგული შაღაშვილის ავტორობით, მომზადდა სახელმძღვანელო “სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში”. წიგნი მომზადებულია ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომი იქნება უმაღლესი სასწავლებლების რესურს ცენტრებში, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტ სოციალურ მუშაკებს მშობლიურ ენაზე გაეცნონ პროფესიულ ლიტერატურას, რისი ფუფუნებაც ხშირად არ აქვთ ხოლმე, ამ პროექტის ფარგლებში კი ასოციაციას მიეცა ამის განხორციელების შესაძლებლობა.

პროექტი განხორციელდა ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასთან, საქართველოს ბიოეთიკის და ჯანმრთელობის დაცვის საზოგადოებასა და საქართველოს ექიმების ასოციაციასთან პარტნიორობით.

სოციალურ მუშაკთა კლუბი

სოციალურ მუშაკთა კლუბი ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივით შეიქმნა 2016 წლის ოქტომბერში. კლუბის მიზანია, გააცნოს სოციალურ მუშაკებს სფეროში მიმდინარე გლობალური სიახლეები (სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით), რაც დაგვეხმარება პროფესიულ განვითარებაში, სწორი ხედვის ჩამოყალიბებასა და მიმდინარე გლობალურ პროფესიულ პროცესებში ჩართულობაში.

კლუბის ჩამოყალიბებისას განისაზღვრა მისი ადმინისტრაციაც, რომელიც მსურველი ასოციაციის წევრებით დაკომპლექტდა (თეონა გვალია, რეზო ხვედელიძე, სალომე დანელია, ნინო შატბერაშვილი, ნათია მაჭარაშვილი) და ამჟამად ადმინისტრაციის წევრთა რაოდენობა კიდევ უფრო გაზრდილია.

პირველი კლუბის შეხვედრა 2017 წლის 10 იანვარს გაიმართა და მას შემდგომ ყოველი თვის პირველ კვირაში იმართება. კლუბზე სხვადასხვა მომხსენებლები არაფორმალურ გარემოში აცნობენ კლუბის წევრებს სხვადასხვა დამუშავებულ მასალას, ან უზიარებენ საქართველოში არსებულ უნიკალურ გამოცდილებას. 2017 წლის განმავლობაში კლუბის 9 შეხვედრა გაიმართა და კლუბის წევრთა რაოდენობა და მრავალფეროვნება დღითიდღე იზრდება.

პროექტი: “მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთათვის ალტერნატიული მომსახურების გაუმჯობესებისათვის პროფესიონალთა გაძლიერება”

აღნიშნულ პრექტს ასოციაცია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს. იგი გულისხმობს მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების პერსონალისა და სოციალური მუშაკების გაძლიერებას, ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფისთვის. პირველი უნიკალური მომსახურება ამ ეტაპზე ქუთაისში გაიხსნა, თუმცა იგეგმება კიდევ ორი სახლის გახსნა თბილისში.

პროექტის ფარგლებში ასოციაცია ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- 4დღიანი ტრენინგი სმს-ს სოციალური მუშაკებისთვის ყველა რეგიონიდან;
- 2დღიანი სამუშაო შეხვედრები მეურვეობა-მზრუნველობის საბჭოს წევრებისთვის ყველა რეგიონიდან;
- 2დღიანი სამუშაო შეხვედრა ადვოკატობის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისთვის პერსონალისა და სმს-ს სოციალური მუშაკებისთვის;
- ადვოკატობის კონცეფციის განვითარება და ადვოკატობის პროექტის განხორციელება;
- 2დღიანი ტრენინგი სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების პერსონალისთვის მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობასა და ძალადობის საკითხებზე;
- მონიტორინგის ინსტრუმენტის შექმნაზე მუშაობა;
- სუპერვიზიის კონცეფციის განვითარება და სუპერვიზიის განხორციელება;
- ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა.

პროექტი 2016 წლის ზაფხულში დაიწყო და 2 წელიწადს გასტანს.

GASW საერთაშორისო კონფერენცია - 2017წ

2017წლის 14-15 ივნისს GASW- მა ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან ერთად უმასპინძლა კონფერენციას: “მესამე საერთაშორისო კონფერენცია პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში სოციალური მუშაობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით: ჯანდაცვის სფეროში სოციალური მუშაობის ინტეგრაცია, როგორც გლობალური გამოწვევა”

კონფერენციაზე მოხსენებით წარდგა 11 უცხოელი და 7 ქართველი სფეროს სპეციალისტი და მოხდა რეგიონში არსებული ქვეყნებისა და საერთაშორისო გამოცილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება კონფერენციის თემატიკასთან დაკავშირებით.

პროექტი: “სოციალურ მუშაკთა თანამშრომლობა სოციალური განვითარებისთვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში”

პროექტის პარტნიორები:

- „ჰილფსვერკ ავსტრია ინთერნეიშნალი”
- სომხეთის სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (AASW)
- აზერბაიჯანის სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (ASWPU)
- საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW)
- მოლდავეთის მედდების ასოციაცია (NARM)

პროექტი ხორციელდება და მიზნად ისახავს რეგიონში (სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდავეთი) სოციალური მუშაობის თანაბრად განვითარებას, რათა ხელი შეეწყოს მოწყვლადი მოსახლეობის კეთილდღეობას. პროექტის ფარგლებში, ასოციაციის თანამშრომლებს საშუალება ეძლევათ, აქტიურად იმუშაონ პროფესიულ საკითხებსა და სოციალური მომსახურებების განვითარებაზე არა მხოლოდ მეზობელი ქვეყნების მაგალითზე, არამედ ავსტრიელ კოლეგებთან ერთად გაეცნონ მათთან განხორციელებულ ეფექტიან პრაქტიკას. გაიაზრონ თუ რამ შეიძლება ასეთივე წარმატებით იმუშაოს საქართველოში. პროექტის ფარგლებში ასოციაციამ მცირე გრანტების გაცემაც დაიწყო. კონკურსი მიმდინარე წლის თებერვალში გაიმართა. ამ ინიციატივის მთავარი მიზანი იყო სოციალური მუშაობის განვითარება საქართველოს რეგიონებში, რეგიონებში და დედაქალაქში პროფესიის თანაბრად განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

პროექტის ფარგლებში, ასოციაცია ცდილობს არასამთავრობო სექტორის გაძლიერებას. სწორედ ამ მიზნით გაიმართა ტრენინგი სექტემბრის ბოლოს. ტრენინგის თემა იყო სოციალური მუშაკის როლისა და ფუნქციების გააზრება რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენელების მიერ.

პროექტი აძლიერებს ასოციაციის თანამშრომლებს სხვადასხვა თემაზე, მაგალითად, როგორიცაა PR, რადგან ვთლით, რომ ასოციაციის, ისევე, როგორც ზოგადად პროფესიის შესახებ საზოგადოებას არასაკმარისი ინფორმაცია აქვს, არადა მნიშვნელოვანია, იცოდნენ, რაზეა ჩვენი პროფესია და სოციალური მუშაკები მხარდამჭერად ეგულებოდეთ ადამიანებს. იგეგმება ტრენინგები სოციალურ ადვოკატობაში, კვლევაში, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვაში, ფონდების მოძიებაში. აღნიშნულ ტრენინგებზე მონაწილეებად მოიაზრებიან ასოციაციის თანამშრომლები და წევრები. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ არსებული რესურსი და შესაბამისად ადგილების რაოდენობა ლიმიტირებული იქნება წევრებისთვის. აღნიშნულ ტრეინინგებთან დაკავშირებით ელ. ფოსტით მოგაწვდით ინფორმაციას, ხოლო დამსწრეები კი შეირჩევიან რეგიტრაციის რიგითობის მიხედვით.

მცირე გრანტების პროგრამა:

მიზანი: პროგრამის მიზანია, წვლილი შეიტანოს რისკის ქვეშ მყოფი ოჯახებისა და ბავშვების სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, სოციალური მუშაობის ცნებისა და სოციალური მუშაობის მომსახურებებისადმი ხელმისაწვდომობის განვითარების და მულტისექტორული დიალოგის გაძლიერების მეშვეობით.

შემფასებელმა კომისიამ 5 გამარჯვებული ორგანიზაცია გამოავლინა, რომლებიც პროექტებს საქართველოს 6 რეგიონში ახორციელებენ (კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო, გურია). უნდა აღინიშნოს, რომ ასოციაციისთვის მცირე გრანტების პროგრამა უნიკალური გამოცდილებაა, რომლის საშუალებითაც ის ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერას და აძლიერებს მათ, რათა შეძლონ, ჩაერთონ სოციალურ რეფორმებში და წვლილი შეიტანონ სოციალური დაცვისა და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების გაძლიერებაში. განსაკუთრებით კი, ოჯახის გაძლიერების კომპონენტის მხარდასაჭერად სოციალური მუშაობის პრაქტიკის განვითარების, თემის მონაწილეობის გაზრდისა და სააგენტოთაშორისი, სისტემათაშორისი და დისციპლინათაშორისი პარტნიორობის ჩამოყალიბების მეშვეობით რეგიონებში.

მცირე გრანტების პროგრამის გრანტის მიმღები ორგანიზაციები:

1. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი
2. ჩვენი სახლი საქართველო
3. ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის
4. სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
5. ადამიანის ჯანმრთელობის და უფლებების კვლევის ცენტრი

GASW რუბრიკა: “ვაძლიერებთ, ვიბრძვით, ვცვლით“

2017 წლის იანვრიდან ასოციაციის ვებ-გვერდზე ფუნქციონირებს ახალი რუბრიკა, სახელწოდებით, „ვაძლიერებთ, ვიბრძვით, ვცვლით“, რომლის მიზანია სოციალური მუშაკების წარმატებული შემთხვევების გაზიარება და სოციალური მუშაკის საქმიანობის შესახებ ხილვადობის გაზრდა. ასოციაცია მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია საზოგადოებაში და პროფესიულ წრეებშიც უკეთ ჩამოუყალიბდეთ წარმოდგენა, რას აკეთებენ და რა წვლილი შეაქვთ თითოეული ადამიანის ცხოვრებაში სოციალურ მუშაკებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ რუბრიკა ხელს უწყობს წარმატებული შემთხვევების გაზიარებას პროფესიულ თემში.

დიდ მადლობას ვუხდით იმ 5 სოციალურ მუშაკს, რომელთაც უკვე მოგვაწოდეს თავიანთი შემთხვევები და, თავიანთი პრაქტიკის გაზიარებით, წვლილი შეიტანეს სოციალური მუშაობის საქმიანობის პოპულარიზაციაში.



http://gasw.org/index.php/ka/publications/latest-blogs

შემოუერთდით GASW-ის ინიციატივას!

ნებისმიერ სოციალურ მუშაკს შეგიძლიათ წვლილი შეიტანოთ ამ პროცესში და გადმოგვიგზავნოთ თქვენი წარმატებული შემთხვევის აღწერა!

პროექტი: „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების ამოქმედების ხელშეწყობა აჭარაში“

ასოციაცია, ევროკავშირის დაფინანსებითა და “გაეროს ბავშვთა ფონდის” მხარდაჭერით, 2017 წლის მარტიდან ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია აჭარის მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დაკისრებული ვალდებულებების აღსასრულებლად.

პროექტის ფარგლებში:

- შეფასდა აჭარის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი სტრუქტურების შესაძლებლობები, მათი ფუნქციები და განვითარდა ტრენინგის კურიკულუმი.
- ექვსივე მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ შერჩეულ წარმომადგენლებსა და მათ სპეციალისტებს ჩაუტარდათ 4 დღიანი ტრენინგი ბავშვზე ძალადობის საკითხებზე (სულ 130-მდე მონაწილე).
- ასოციაციის დახმარებით, მუნიციპალიტეტებმა შეიმუშავეს შიდა სამოქმედო ინსტრუქციები ბავშვზე ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისთვის.
- სამუშაო შეხვედრები გაიმართა თითოეულ მუნიციპალიტეტში ბავშვებთან კავშირში მყოფი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან.
- გაიმართა შეხვედრები მუნიციპალიტეტების გადამზადებულ თანამშრომლებსა და სოციალურ მუშაკებს შორის, სამუშაო გამოცდილების გაზიარების, კოორდინაციისა და თანამშრომლობის გზების დასახვისთვის.

- გარდა ამისა, განხორციელდა ორეტაპიანი მონიტორინგი რეფერირების ადგილობრივი პროცედურების აღსრულებაზე (ტრენინგიდან 1.5 და 3 თვის შემდეგ).

პროექტი: “შშმ ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა საქართველოში /სკოლის გაძლიერების ხელშეწყობა”

პროექტის ძირითადი მიზანია, წვლილი შეიტანოს შშმ ახალგაზრდების ცხოვრების ხარისხისა და სოციალური ინკლუზიის დონის გაუმჯობესებაში, საქართველოში ინკლუზიური განათლებისა და შრომის ბაზარზე დასაქმების ხელშეწყობის გზით. 2017 წელს პროექტის ფარგლებში ხორციელდება სკოლის გაძლიერების ხელშეწყობის მიმართულება თბილისის 2 საპილოტე სკოლაში თბილისში. აღნიშნული მიმართულების მიზანია: სამიზნე ჯგუფის მოსწავლეების (შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების) სკოლაში ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა, მათი და მათი ოჯახების ფსიქო-სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება და საპილოტე სკოლებში პოზიტიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა. 2017 წელს პროექტის ფარგლებში უკვე განხორციელდა საბაზისო მონაცემების კვლევა საპილოტე კლასებში, რომელიც მოიცავდა არა მარტო რაოდენობრივ, არამედ მონაწილეობით თვისებრივ ნაწილსაც (კერძოდ, ფოკუს ჯგუფები მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან, რომლებიც თავად გამოყოფენ სირთულეებს და მათზე მუშაობის გეგმას ადგენენ და ახორციელებენ). ასევე, პარალელურ რეჟიმში, ხორციელდება მუშაობა ინდივიდუალურ შემთხვევებზე მოსწავლეებთან, მშობლებსა და მასწავლებლებთან, და ჯგუფური მუშაობა საპილოტე კლასებთან, მათი ემოციური ინტელექტის ამაღლების მიზნით. აღნიშნული მუშაობა გაგრძელდება 2017 წლის ბოლომდე, როდესაც დაგეგმილია პროექტის დასრულება. დამატებით, 2017 წელს ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობების თემაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი სოციალური მუშაკებისა და მეურვეობისა და მზრუნველობის საბჭოს თავმჯდომარეებისთვის.



პროექტი ხორციელდება ძირითად პარტნიორთან, ჩეხურ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან People In Need ერთად. პროექტის დამფინანსებელია ჩეხეთის განვითარების სააგენტო, ძირითადი პარტნიორები კი არიან: ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სოციალური მომსახურების სააგენტო.

პროექტი: “გაერთიანებული ხმა ბავშვებისთვის”

პროექტი მიზნად ისახავს შავი ზღვის რეგიონში (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, საქართველო, კოსოვო, მოლდავეთი, რუმინეთი, სერბეთი) ბავშვთა კეთილდღეობის ხელშეწყობას საზოგადოების გაძლიერების მიზნით. საქართველოში პროექტის მიზანს წარმოადგენდა ბავშვთა ზრუნვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების გაერთიანების/კოალიციის გაძლიერება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა 2012 წელს ჩამოყალიბებული კოალიციური გაერთიანების დარეგისტრირება სახელწოდებით „კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის“.

პროექტის ფარგლებში, ასევე, განხორციელდა რიგი აქტივობები კოალიციის გაძლიერებისათვის:

- კოალიციის საჭიროებების კვლევა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის დასახვა;
- კოალიციის რეგისტრაცია, წესდების ფორმირება;
- წევრების ხელახალი გაწევრიანება, გამგეობისა და თავმჯდომარის არჩევნების ჩატარება;
- მედიის მეშვეობით კოალიციის ხილვადობის გაზრდა (მრგვალი მაგიდა და საველე ვიზიტები მედიისთვის);
- სამოქალაქო სექტორისა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნეს ორგანიზაციებსა და ცნობილ სახეებთან თანამშრომლობის სტრუქტურირება;
- ფონდების მოძიების აქტივობების განხორციელება;
- კოალიციის სამოქმედო გეგმისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა;
- კოალიციაში ფუნქციონირებს სამუშაო ჯგუფები, რომლის წევრებიც არის ასოციაციის წარმომადგენლები.

პროექტი განხორციელდა გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო, World Vision გერმანიისა და Agroinvest სერბეთის მეშვეობით.

პროექტი: „ეფექტური მინდობით აღზრდის განვითარება ქვემო ქართლის რეგიონში”

პროექტი ხორციელდება “მაკლეინის ასოციაცია ბავშვებთან” პარტნიორობით ქვემო ქართლის სამ რაიონში: რუსთავში, გარდაბანსა და მარნეულში. პროექტის მიზანია მინდობით აღზრდის მომსახურების გაძლიერება, რომელიც, ასევე, მოიცავს: არსებული მიმღები მშობლების უნარების გაძლიერებას, ახალი მიმღები მშობლების მოზიდვას და ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებას/მიმღები ოჯახებიდან ბავშვების დაბრუნების პროცესის მხარდაჭერას. პროექტი 2017 წელს დაიწყო და 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, ამ ეტაპისთვის შექმნილია საკონსულტაციო ჯგუფი, შემუშავდა ახალი მიმღები მშობლების მოზიდვის კონცეფცია და შეიქმნა სამენოვანი ბროშურა. ახალი მიმღები მშობლების მოზიდვის მიზნით განხორციელდა პირისპირ და ჯგუფური შეხვედრები რუსთავში, გარდაბანსა და მარნეულში. არსებულმა მიმღებმა მშობლებმა მონაწილეობა მიიღეს ახალი მიმღები მშობლების მოძიების პროცესში. განხორციელდა შეხვედრები ადგილობრივ მუნიციპალიტეტების გამგეობის წარმომადგენლებთან მინდობით აღზრდის მომსახურების გაცნობისა და მათი მიმღები მშობლების მოზიდვის პროცესში ჩართვის მიზნით. განხორცილდა 5 ბიოლოგიური ოჯახის საჭიროებების კვლევა და მათი მხარდაჭერა, რომელთა შვილებიც იმყოფებიან მინდობით აღზრდაში და უსრულდებათ 18 წელი. ცნობიერების ამაღლებისა და მიმღები მშობლების მოზიდვის პროცესში, ადგილობრივი მედიის როლის გააქტიურების მიზნით, მოეწყო მედია სემინარი ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის.

GASW რუბრიკა: “პროფესია რომელიც ჩემშია”

2017წლის იანვრიდან ასოციაციის ვებ-გვერდზე ფუნქციონირებს რუბრიკა – “პროფესია რომელიც ჩემშია“. რუბრიკის ფარგლებში ინტერვიუები ჩამოერთვათ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 9 სოციალურ მუშაკს.

რუბრიკის მიზანია საქართველოში სოციალური მუშაობის პოპულარიზაცია, პროფესიის მრავალფეროვნების წარმოჩენა, სოციალური მუშაკის როლის მნიშვნელოვნების განსაზღვრა და სოციალურ გამოწვევებსა თუ პოზიტიურ საკითხებზე აქცენტირება.

ასოციაციის რესპოდენტებს ინტერვიუს ფარგლებში ჰქონდათ შესაძლებლობა ასევე რჩევები მიეცათ დამწყები სოციალური მუშაკებისათვის.

დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს რესპონდენტებს! ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ ახალი რესპონდენდების მოძიებას და შემოგთავაზებთ საინტერესო მოსაზრებებს!

ინტერვიუები შეგიძლიათ იხილოთ შემდგომ ბმულზე:
http://gasw.org/index.php/ka/publications/the-profession-which-is-a-part-of-me



საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
www.gasw.org

წევრებთან საკონტაქტო ელ. ფოსტა:
gaswmembers@gasw.org